Ленинградская правда

Орган Ленинградского областного комитета и Ленинградского городского комитета КПСС, Ленинградского областного Совета народных депутатов и Ленинградского городского Совета народных депутатов

№ 8 (229) 13-18 января 1969 года

1969 ЖЫЛ 28 ЖЫЛЫЛЫ

Ленинградские ученые — сельскому хозяйству

Новый сорт ячменя

Ученые Ленинградского научно-исследовательского института сельского хозяйства Северо-Запада Академии сельскохозяйственных наук СССР создали новый сорт ячменя — Ленинградский 1. Он отличается высокой урожайностью, устойчивостью к полеганию и осыпанию, а также к ряду заболеваний.

Новый сорт районирован в Ленинградской области. Он может быть рекомендован для посева в Карельской АССР, Вологодской, Новгородской, Псковской, Калининской областях.

Новый сорт ржи

Ученые Ленинградского научно-исследовательского института сельского хозяйства Северо-Запада Академии сельскохозяйственных наук СССР создали новый сорт озимой ржи — Ленинградская 2. Он отличается высокой урожайностью, устойчивостью к полеганию и осыпанию, а также к ряду заболеваний.

Новый сорт районирован в Ленинградской области. Он может быть рекомендован для посева в Карельской АССР, Вологодской, Новгородской, Псковской, Калининской областях.

მოკლედ

გულითადი მადლობა

△ „გულითად მადლობას მოგახსენებთ უურადღებისათვის. წიგნი იან კომენსკის შესახებ უურადღებას იმსახურებს“. ეს სტრიქონები ამოღებულია ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ლუდვიგ სვობოდას წერილიდან, რომელიც მან გამოუგზავნა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს. სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დავით ლორთქიფანიძეს.. როგორც ცნობილია, ქართველი პროფესორის კალამს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლეული გამოჩენილი ჩეხი პედაგოგისა და განმანათლებლის იან კომენსკის შესახებ.

შოთა „რუსთაველის“ ახალი მარშრუტები

● საოქმანო ლაინერის „შოთა რუსთაველის“ ბიოგრაფიაში ახალ-ახალი ფურცლები იწერება. წლინახევრის განმავლობაში ეკიპაჟმა, რომელსაც სათავეში ცნობილი კაპიტანი ელიზბარ გოგიჩაძე უდგას, მრავალგზის გადაკვეთა ეკვატორი.

ახლა გემი ინგლისის ნაპირებისაკენ მიემართება. ნავსადგურ საუთჰემპტონში იგი მიიღებს მგზავრთა დიდ ჯგუფს და პანამის არხის გავლით ჩაიყვანს ავსტრალიაში.

„შოთა რუსთაველი“ სამშობლოში ვაისად, გაზაფხულზე დაბრუნდება.

მკურნალობენ მინას

△ ჰიათურის ვანგანუმის ქარხნებთან შეიქმნა სპეციალური ფეხ-ბურთის გუნდი, რომელიც ღია, ჯარიერული წესით მანგანუმის მოპოვების შედეგად დაზიანებულ ნიადაგს აღადგენს. ამ ფართობზე ირგვება კაკლის, ვაშლის, ჭსხლის, აკმისა და სხვა ჯიშის ხეები. სულ აღდგენილია 100 ჰექტარი მიწა.


ზუსტი ხელსაწყოების სამყაროში

● სოხუმი. ქარხანა „სოხუმხელსაწყო“ ამჟამად ამზადებს ავტომატური ნუმერაციისა და თარიღის აღმნიშვნელი აპარატის „ანდ-4“ საგამოცდო პარტიას და „ჰექტოგრაფ ა“-ს. ეს უკანასკნელი ამრავლებს სხვადასხვა დოკუმენტს, ერთ ან რამდენისამე ფრად. ერთ წუთში იგი იძლევა 60 ცალ პირს. ამ აპარატურის დანერგვა მკვეთრად შეამცირებს ხელის მანქანით ბეჭდვით სამუშაოებს. ხელსაწყოსადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე — „ინპოლიგრაფმაშ-69“.

● გორი. ქარხანა „გორხელსაწყოს“ კოლექტივმა წლეულს აითვისა 7 სახეობის პროდუქცია. სპირტსაზომი აპარატი ზომავს მშრალი ღვინის სიმაგრეს. ახლა მუშაობენ 4 ახალი ხელსაწყოს ათვისებაზე, რომლებიც გაისად გადაიცემა სერიული წარმოებისათვის.

გორული მარკით გამოშვებული ზუსტი ხელსაწყოების მორიგი პარტია ამას წინათ გაეგზავნა ინდოეთს, ჰოლანდიას, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, ბულგარეთს, რუმინეთს, პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

● თბილისი. მათემატიკური გამოთვლის დასაჩქარებლად და დაკვეთების მოკლე ვადებში შესასრულებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა მიიღო და დაამონტაჟა ახალი სამმაშინო ელექტრონული გამოთვლითი მანქანა „მ-220“, რომელსაც წამში 30 000 მათემატიკური ოპერაცია სრულდება. მანქანა ნახევარგამტარებზეა აგებული, რის გამოც იგი მცირე ადგილს იჭერს. ოპერატიული მეხსიერების ტევადობაა 8.190 სიტყვა. პარამეტრებისა — 24 ათასი მათემატიკური ნიშანი.



მეორედ მთვარეზე

საბჭოთა ადამიანები, მათ შორის ქართველი ხალხი ამ დღეებში უურადღებით ადევნებდა თვალყურს მამაცი ამერიკელი კოსმონავტების მეორედ გაფრენას მთვარეზე.

ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა სისტემატურად შუქდებოდა საბჭოთა პრესაში. გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა ამერიკაში მელორ სტურუამ „ნედელიას“ მკითხველებს დაწვრილებით გააცნო კოსმონავტებას ჩარლზ კონრადის, რიჩარდ გორდონისა და ალან ბინის ბიოგრაფია.

ცნობამ ფრენის წარმატებით დამთავრების შესახებ დიდი სიხარული გამოიწვია. გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი კოსმოსის ათვისების საქმეში.

სურათზე: „აპოლონ-12“-ის ეკიპაჟი.

მეგობრების შეხვედრა

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ კინემატოგრაფისტებს. ამ დღეებში კიდევ ერთი ხათელი ფურცელი ჩაიწერა მათი კავშირურთიერთობის ისტორიაში. თბილისს ოფიცერთა სახლში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინომატოგრაფისტთა შემოქმედებითი შეხვედრების კვირეული, რომელიც მიეღვნა ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 და ფილმისტური გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს.


დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ფოიეში გამოფენილი დყო შეხვედრაზე ჩამოტანილი კინოფილმების რეკლამები.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ხიკო დოლიძე.

შეხვედრაზე წარმოდგენილ ფილმებზე ლაპარაკობს სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი გევორკოვმა და აზერბაიჯანის სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანმა ებრაგიმბეკოვმა.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ კვლერიულზე წარადგინეს რეჟისორ რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, გიორგი ასათიანის დოკუმენტური „მიხაკისფერი ხტომაჭა“ და ნინოწმიდის „მტრობა“.

აფეთქება ლებაისკართან



შატილი

ბონდო დადვაძის ფოტო

თეთრწყაროს ხანძარი წაჰკიდებიათ არყის ხის ფოთლებს, ნარინჯ-თურინჯის ფერი დასდებიათ დეკემბრის და ღვიას, მწვანეთი თავს იწონებენ ნაძვი და ფიჭვი, ყელყელაობენ ჭეჩი და პირიმზე...

თვითონ მთებს კი ნაცრისფერი შეჰპარვიათ, ამიტომ თუ ტოვებენ მწყემსები მათ კალთებს, ბარისკენ ეშურებიან თავიანთი თეთრი ფარებით, მთის მდინარესავით რომ იღვრება ღრმა ხევებში. მიწას რქებით ჩხვერენ დასუქებული მოზვრები, ბღავიან ნაიალაღარი ხარები, იღიმებიან ხევსური ვაჟკაცები, ინაზებიან მორცხვი ხათუნები და მზექალები.

...ხახმატთან წყაროს ცრემლი დავლიეთ და შემხვედრ მგზავრს გავეხმიანეთ. შატილიონი მამუკა ჭინჭარაული ვარო, — გვითხრა. ახალგაზრდა ქალი კაცი იყო, ხმელ-ხმელი და ბეჭებში გაშლილი, დათვისჯვარი ქვეითად გადმოვეყრო, მაგრამ დაღლილობა არ ეტყობოდა. შატილის უკანასკნელი დეკანოზის ღვთისო ჭინჭარაულის ამბავი ვკითხეთ მამუკას:

— შარშანწინ გარდაიცვალა.

— მგონი, გამარჯვებას იყო წასული შვილიშვილებთან.

— იყო, მაგრამ სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, მაინც მშობლიურ შატილს მიაკითხა.

გამახსენდა შატილის ციხის ბანზე მჯდარი მოხუცი, არწივის ჩამქრალი თვალებით დილიდან დაღამებამდე რომ გასცქეროდა ვიწრო ხეობას. მას შემდეგ, რაც შატილიონები სამგორს გადასახლდნენ, ღვთისო მარტო უდგა დარაჯად ხევსურთა სოფელს, მთელი სამი თუ ოთხი წელიწადი ეულად ელოდა ვინმეს დაბრუნებას. მაგრამ ხმის გამცემი კაცი არ იყო და შებეზრებული მოხუცი მხოლოდ ძაღლსა და თავისთავს ეძრახებოდა.

მერე თანდათან დაბრუნდნენ მასავით ბერიკაცები. ახალგაზრდობის უმეტესობამ კი სამუდამოდ დაიდო ბინა სოფელ გამარჯვებაში, შეიყვარა ვაზი და ისწავლა მისი მოვლა-პატრონობა.

გაიხარა ღვთისომ თანატოლთა ხილვით, უხაროდა შატილის — ამ ბებერი ციხის გამოცოცხლება, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ფხიზელ დარაჯად იდგა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე...

ერთ დღეს ღვთისოს, ციხის ჭონგურზე ჩვეულებრივად რომ იჯდა, შორეული ჭუხილის ხმა მოესმა. ეს არ ჰგავდა იმ ჭექა-ქუხილს, გაზაფხულზე, რომ იცის ხოლმე, არც ზვავის ხმაურსა ჰგავდა, მთიდან მთაზე ეკოდ გადასულს. ღვთისომ ჯერ ყურებს არ დაუჯერა. მაგრამ ჭუხილი კვლავ რომ გაშორდა, მყუსვე პირჯვარი გადაისახა. — ღმერთო დიდებულო, ბრალიანთ და უბრალოთ ხალოცავო ყოველთ მოწყალევ, შენ ჰფარავდე ხევსურთა მთაჩიგავ, ბარჩიგავ, წყალმჩიგავ... და ბერე პატარა თომა ჭინჭარაულს გასძახა ჩახლეჩილი ხმით. — რაი ამბავ ას, ბალღო, ომისა ხო არა ისმის რა.

— არა, ჰაპავ, გზა შენდება დათვისჯვარზე, მალე შატილშიც გვეწვევა ავტომანქანა.

ღვთისომ კვლავ პირჯვარი გადაიწერა. — ღმერთო დიდებულო, რას არ შეესწრების კაცი.

იყო დრო, როცა მთიელები გზებს გაურბოდნენ, მტრების შემოსევისაგან თავშობერილი ადამიანები იხიზნებოდნენ ხეუვალ ადგილებში. მაშინ, იმ სისხლისა და ცრემლის ჟამს, შატილს გზა არ სჭირდებოდა, პირიქით. ზოგჯერ ბილიკებსაც თვითონ მთიელები ახვრეტდნენ.

არც ისე დიდი ხნის წინათ მთიელ კაცს ურემზეც კი არ ჰქონდა წარმოდგენა. ახლა თვითონ შარავანდედ შემოსილ ავტომანქანებს, ბულდოზერებს სკრეპერებს. ეს მანქანები ჭიხის ქედთა საუკუნეობრივ სიჯიუტეს, ანგრევენ მთების მკერდს...

ავტომანქანამ ხვნეშითა და ვაივაგლახით აიარა დათვისჯვრის დაკეცილი გზა და უღელტეხილს ზედ ზურგზე მოექცა. მზიანი დღე იყო და მთელი ხევსურეთი — პირიქითი და პირაქეთი — ხელისგულივით გადაიშალა. ხომ ყოველთვის ლამაზია საქართველოს მთიანეთი, მაგრამ განსაკუთრებულად წარმტაცი მაინც შემოდგომაზეა, როცა აქაურ ალვისტაენ თავის ადგილს იჭერს ცისარტყელას ყველა ფერი, როცა ცაზე არ ფარფატებს ნისლის პატარა ფთილაც კი, ღრუბლის არც ერთი ნაგლეჯი და მზის სხივებში ჩაფლული ქვეყანა საზეიმოდ და დიდებულად გამოიყურება.

დათვისჯვრიდან გზა სარტყელივით დაიკეცა, მარცხნივ შატილის ვიწრო ხეობა გარინდულიყო. მარჯვნივ წუბროვანას სამთვრები ნებივრობდნენ და თითქოს დიდი სტუმრიანობის შემდეგ ისვენებდნენ. ქვეშოთ, ხეობის სიღრმეში, მშენებელთა დაბა ხმიანობდა.

სწორედ იქ მთავრდებოდა ბარისახო-წუბროვანას გზის მონაკვეთი და იწყებოდა შატილის ახალი გზა, უფრო სწორად, ის გზა, რომელიც სულ მალე უნდა კეთილმოეწყოს, ჯერჯერობით კი ბულდოზერები ზღაპრული ხარებივით ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ მთის დამრეც ფერდობზე. მეხაღმისა არ იყოს, მებულდოზერეც აქ მხოლოდ ერთხელ შეცდება. ერთი არასწორი მოხრაობა და მანქანა უფსკრულის ლუკმა გახდება, ამიტომაც ფრთხ ლობენ მთიელი ვაჟკაცები ილოდ და ივანე ბეჭაურები. სწორედ მათ გაჭრეს შარშანწინ ახალი გზის პირველი მეტრი და მას შემდეგ არც ერთ დღეს უქმად არ მდგარან.

სამუშაოთა მწარმოებელი ინჟინერი ბიჭიკო შიშინაშვილი მოვიკითხეთ. მუშებმა გვითხრეს, ნახევარი საათის წინ ლებაისკარისკენ წავიდაო. დუშეთის რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შალვა მწითურთან ერთად ფეხით გავუდექით გზას. ძნელი იყო ღრმა ხევების გადალახვა და ტალახიან ტრასაზე სიარული. მაგრამ ამას არად დაგიდევდით, რადგან გულში გაურკვეველ სიხარულს ვგრძნობდით — ჩვენ ხომ იმ წუთში დიდი ისტორიული ამბის მოწმენი ვიყავით. არუნის ხეობაში სავტომობილო გზა ამ რამდენიმე წლის წინათ ძილშიც არავის დაესიზმრებოდა, ახლა კი ჩვენს თვალწინ იზრდებოდა მომავალი ტრასა.

...მოსახვევში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა. სწორედ ის გახლდათ ინჟინერი ბიჭიკო შიშინაშვილი: — ფეხზე გაგასწრეს კომისიის წევრებმა, რომლებიც შატილს წავიდნენ ცხენებით გზის პროექტის დასაზუსტებლად, — გვითხრა.

გზა განვაგრძეთ. ბიჭიკო გვიამბობდა, შატილამდე რალაც ათიოდე კილომეტრი დარჩაო, უკვე აგებულია მრავალი საყრდენი კედელი და წყალსაშვები, ხიდები. ბოგირები, წლეულს შესრულდა ოთხჯერ მეტი სამუშაო. ვიდრე შარშან. გაისად შატილში პირველი ავტომანქანები შევლენო...

სუბარში ხევსურთა სოფელს ლებაისკარს მივუახლოვდით და კიდევ გაისმა აფეთქების მძლავრი ხმა, რომლის გამოძახილი ხევიდან ხევში, მთიდან მთაზე გადავიდა და სადღაც შორეთში გადაიკარგა. ბოლი და მტვერი რომ გაიფანტა, კვლავ ლებაისკარის ძველისძველ ციხეს შევავლე თვალი, მომეჩვენა, რომ ისიც უსალმებოდა ახალ გზას.


შენებრალა როხუცი ღვთისო ჭინჭარაული, რომელიც ვეღარ ბოლწრო სიცოცხლისა და განახლების გზას ჩვენი სამშობლოს ულამაზეს კუთხეში — პირიქით ხევსურეთში.

აბიბო თომაძე

ირაკლი აბაშიძე

ამ დღეებში ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი პოეტის ირაკლი აბაშიძის დაბადების 60 წლისთავი. გაზეთი „სამშობლო“ და მისი მკითხველები გულითადად მიესალმებიან ღვაწლმოსილ იუბილარს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით სიხალისეს ერისა და დიდების საკეთილდღეოდ.

სჭა ქაცჯაეროვნისა



„— ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემბრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს
მტერთა და ძმათა
დავშორდი.
მორჩა,
ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა
მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწვამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან —
საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ
ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს
მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას
ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენ უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო
მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და
კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან“.

ისევ მხნე, ისევ მღერალი...

ირაკლი აბაშიძეს სამოცი წელი შეუსრულდა. სამოცი წელი, კაცმა რომ თქვას, ცოტა როდია, მაგრამ ისეთი ბუნების ლირიკოსისათვის, როგორიც ირაკლი აბაშიძეა, ეს ასაკი პოეტური მოღვაწეობის შუაგზაა. ამის თქმის უფლებას ჩვენ გვაძლევს მისი ბოლოდროინდელი ლექსები. ამ ლექსებს სიბერე არ დასტყობია, პოეტურ სულს დაღლა არ მიჰკარებია. ისევ მხნე, ისევ მღერალი მისი პოეზია კვლავ ახალგაზრდული ენერგიით გვათბობს და პოეტური ძიებით გვაბარებს. პოეტი იმდენი წლისაა, რამდენისაცაა მისი ახალი, კარგი ლექსები, პოეტი მანამ არის ახალგაზრდა, სანამ ლექსის მადანი არ გამოლეულა.

ირაკლი აბაშიძე მირონცხებული პოეტია, ხალასი ნიჭით მიმადლებული, შეუმცდარი მუსიკალური სმენით აღჭურვილი. ამავე დროს მისი ლექსები სავსეა ალერსით. საზოგადოდ მოალერსება, ინტიმობა მისი ხასიათია, ეს ბედნიერად მიგნებული პოეტური ინტონაციაა. მომხიბვლელობაც ხასიათიდან მომდინარეობს.

ირაკლი აბაშიძეს რაზე არ უწერია, რაზე არ უფიქრია. მრავალი ლექსი-სათვის გაუტანებია თავისი ქვეყნის ნატვრა თუ დარდი, და მაინც მისი ლექსების ყველაზე საყვარელი თემა რუსთაველია, ოღონდ აქ ერთიც სათქმელია, აბა რუსთაველი და საქართველო ვის გაუყვია? ეს ერთი მედლის ორი მხარეა, საქართველო და რუსთაველი ტყუპად ძმებივით არიან დასუტებულნი. იქნებ ამიტომ დაუკავშირდა დიდი რუსთაველის პირველი სალოცავი — ქართული ენა, საქართველოს უკედებებას. ქართული ენა არა მარტო საშუალებაა აზრთა გაგებინებისა, ურთიერთობისა, არამედ ის ჩვენი სულის ნაწილია, ერის ფარ-ხმალი და იარაღი, ქართველობის ხარისხი და სიმდიდრე. ენის დათმობა ეროვნების დათმობას უდრის, ქართული ენის სიკვდილი — საქართველოს სიკვდილს.

რუსთაველთან, წინაპრებთან დიალოგის თუ პაექრობის პოეტური ფორმა მაშინ გაუჩნდა მგოსანს, როცა ჩვენი სალოცავი რუსთაველი ჩვენმა დრომ ყველა დროზე მაღლა ასწია. ეს მოხდა 1934 წელს, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე. იმ დღეს „კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი“ („რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“). ამ ისტორიულმა აქტმა ნათელი მოჰფინა პოეტის ფიქრებს, რუსთაველის ხმები უცნაურად შეიჭრნენ მის სულში. ოცდაათი წლის შემდეგ ამ პოეტური ფიქრისა და ფანტაზიის ნაყოფი ლექსების წიგნად დაიბადა: „პალესტინა, პალესტინა“. ამ წიგნმა, დრამატიზმით აღსავსე პოეტის სულის აღსარებამ, ერთ სიმფონიად აკინძულმა, დიდება და სახელი მოუპოვა მის ავტორს. მარტო ის ფაქტი, რომ ამ წიგნისათვის ირაკლი აბაშიძეს რუსთაველის პრემია მიენიჭა, რამდენის მთქმელია. ლექსის წერა მისთვის არა მარტო შინაგანი მოთხოვნილებაა, პოეტური სიტყვით ერის სამსახური არა მარტო მოწოდებაა, არამედ თვით დედაარსი სიცოცხლისა და განწმენდილი სულისა.

ირაკლი აბაშიძეზე ნათქვამი სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვით მის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასაც არ მოვიხსენიებდით. იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, არის ევროპის მწერალთა გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თავმჯდომარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიას, და ბოლოს, იგი არის პირველი ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს, რომ პოეტი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ცხოვრობს ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით, მისი სულიერი მოთხოვნებითა და მისწრაფებებით.

ვუსურვოთ მას ახალი ხმებით გაემდიდრებინოს ჩვენი საერთო სალოცავი — ქართული სიტყვა.

სერგი ჭილაია,
საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.

ვინ არის და...



სურათზე: ვინარი სხულუხია

გრიგოლ სხულუხიას მიწა უყვარდა.

თანასოფლელებიც თვკაცად ირჩევდნენ ხოლმე. ჯერ რუხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო, შემდეგ კოლმეურნეობის მესვეური. მაშინ რგავდნენ ჩაის პირველ ბუჩქებს, რასაც სოფლისათვის სიმდიდრე და კეთილდღეობა უნდა მოეტანა. გრიგოლის დაწყებულმა საქმემ მართლაც იმედი გაამართლა. თვითონ კი...

კატამამუსვრელი და დამანგრეველი ომი დაიწყო. გრიგოლს სხვა საქმე გამოუჩნდა, საპატიო და სავაუკაცო.

მამული უყვარდა და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირა. ფაშისტებმა კოცონზე დაწვეს ქართველი ვაჟკაცი და მისი ფერფლი ქარს გაატანეს.

გრიგოლ სხულუხიას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ხალხმა სიმღერად აიტაცა მისი ვაჟკაცობა. მადლიერმა თანასოფლელებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობას გრიგოლ სხულუხიას სახელი უწოდეს, ძეგლი დაუდგეს.

ცალუელად დარჩენილი ქეთევანი ბრიგადას ჩაუდგა სათავეში, პლანტაციებში ათენებდა და აღამებდა. ჯემალსა და ვინარის ზრდიდა.

ქალიშვილს პოეტური სახელი ჰქვია.

მაშინ, როდესაც ეს სახელი დაიბადა, პოეზიისათვის არავის ეცალა.

გრიგოლმა იცოდა, რომ შვილი უნდა შესძენოდა, ვინ არისო? ეკითხებოდა გმირები არ კვდებიან...

გრიგოლ სხულუხიას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ხალხმა სიმღერად აიტაცა მისი ვაჟკაცობა. მადლიერმა თანასოფლელებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობას გრიგოლ სხულუხიას სახელი უწოდეს, ძეგლი დაუდგეს.

ცალუელად დარჩენილი ქეთევანი ბრიგადას ჩაუდგა სათავეში, პლანტაციებში ათენებდა და აღამებდა. ჯემალსა და ვინარის ზრდიდა.

ქალიშვილს პოეტური სახელი ჰქვია.

მაშინ, როდესაც ეს სახელი დაიბადა, პოეზიისათვის არავის ეცალა.

გრიგოლმა იცოდა, რომ შვილი უნდა შესძენოდა, ვინ არისო? ეკითხებოდა მეუღლეს ფრონტიდან გამოგზავნილ ბარათში.

პასუხს ვეღარ მოესწრო...

ქეთევანმა ახალშობილს ვინარი დაარქვა.

დადიოდა გოგონა სკოლაში. თავისუფალ დროს დედას ეხმარებოდა, შამას თავკაცობით გაშენებული ჩაის პლანტაციები მისთვისაც ძვირფასი და საყვარელი ხდებოდა.

გაიზარდა და ცალკე ნაკვეთის გამოყოფა მოითხოვა.

მამის სახელი არ შეარცხვინოო, უთხრეს გოგონას.

— აბა, შენ იცი, შვილო. — თითქოს მამის ხმაც ესმოდა, ამხნევებდა და ეალერსებოდა.

მუყაითობა არ აკლდა ქალიშვილს, გამოცდილებას კი უფროსი თაობის მეჩაიეები — ლუბა თოდუა, ცოცა ჭკადუა, ფაქიზო ხორავა და სხვები უზიარებდნენ.

1965 წელს ვინარიმ დიდი გამარჯვება მოიპოვა. ნახევარი ჰექტარი ფართობიდან არნახული მოსავალი — 8.280 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო.

გარჯა ღირსეულად დაუფასდა — ოცდახუთი წლის ქალიშვილს ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი მიენიჭა.

სოფელს დიდი და მოსიყვარულე გული აქვს. მოდიოდნენ და ულოცავდნენ ნათესავები, მეზობლები, მეგობრები. ხსულუხიებს მწვანე კოინდარით, დაფნითა და მაგნოლიებით დამშვენებულ ეზოში ქართული პურ-მარილი გაიშალა, ცას სწვდებოდა მრავალუამიერი...

მთელი სოფელი გემაღლიერება, შვილო, გრიგოლის ხსოვნა ორმაგად უკვდავყოფილია, გმირს გმირი ქალიშვილი ჰყავხარო, უთხრა თამადამ ზეიმის მიზეზს — ვინარი სხულუხიას.

სხულუხიებს კარგი ჩვეულება აქვთ — მიღწეულს არ სჯერდებიან. ვინარიმ ჯერ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, ახლა კი მოსკოვში, უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლობს. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩევა — საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატია.

ვინ არისო? ასე უკითხავს მასზე ომში წასულ და გმირთა სიკვდილით დაცემულ მამას.

ვინ არის და ხახელოვანი ქალია. გმირი მამის ღირსეული შვილი. იმ ტრადიციების განმგრძობი, ქართველი ქალი საუკუნეების მანძილზე ასე შეუბღალავად რომ ატარებს.

ენვერ ჩიქავა

მსოფლიო ასპარეზზე

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მე-10 კონგრესი, რომელიც ბუენოს-აირესში გაიმართა, ხელავ ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორთა ტრიუმფით აღინიშნა. კვლავ, ვამბობთ იმიტომ, რომ 1967 წელს მე-9 კონგრესის მთავარი პრემია „ათენი“; წილად ხვდა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტს ვლადიმერ ცინცაძეს, ხოლო მისმა მეგობარმა გიორგი მურმანიშვილმა წამახალისებელი პრიზი მოიპოვა.

წარმატება ჩვენი რესპუბლიკის არქიტექტორებს ბევრს ავალებდა, სახელდობრ, უნდა დაგვემტკიცებინა, რომ იგი შემთხვევითი არ იყო.


ამჯერად კონგრესი მიმდინარეობდა დევიზით „საცხოვრებელი რაიონი განვითარებადი ქვეყნებისათვის“. საქართველოდან საკონკურსოდ ორი ნაშუშევარი გაიგზავნა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომანტმა, დემურ ელოშვილმა ჟიურის წარუდგინა საცხოვრებელი სახლი 1.000 ოჯახისათვის. ამავე თემას მიეძღვნა სამხატვრო აკადემიის აღსაზრდელის თენგიზ ჩილინგარაშვილის ნამუშევარიც.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან წარმოდგენილი 300 პროექტი ამჟამადაც ორი მთავარი და 10 წამახალისებელი პრიზის მოსაპოვებლად ეციღებოდნენ ერთმანეთს. მპაცრმა ჟიურიმ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ დემურ ელოშვილის ნამუშევარი სცნო და მას ერთ-ერთი მთავარი პრიზი — ადოლფ ლოოსის სახელობის 1969 წლის ვენის პრემია მიაკუთვნა.

ამით ახალგაზრდა არქიტექტორმა უფლება მოიპოვა ორი წელი იცხოვროს ავსტრიის დედაქალაქში და სრულყოს თავისი ხელოვნება.

არც თენგიზ ჩილინგარაშვილის პროექტი დარჩენილა შეუმჩნეველი — მას წილად ხვდა წამახალისებელი პრიზი.

დემური და თენგიზი სრულიად ახალგაზრდები არიან. სადიპლომო პროექტები მათ რესპუბლიკის დამსახურებული არქიტექტორების გივი მელქაძის და ოთარ თუხარელის ხელმძღვანელობით მოამზადეს. 24 წლის ჭაბუკებმა ქართული არქიტექტურული სკოლა დიდ ასპარეზზე გაიტანეს.



სურათზე: ფრაგმენტი დემურ ელოშვილის პროექტიდან.

● ქართველი ხალხის სულიერ საგანძურს ამდიდრებს, ამაღლებს და აფასებს ჩვენი უძველესი კულტურის საუნჯე, საუკუნეებგამოვლილი ხალხური პოეზია.

მოდიოდა ფანდურზე, ჩონგურსა თუ სტვირზე დამღერებული ლექსი და უპან იტოვებდა წელთა სიმრავლეს, მოდიოდა და ინასკვებოდა, იძერწებოდა, იხვეწებოდა...

იქნებ უცხოთშორის მცხოვრებ რომელსამე თანამემამულეს გადაავიწყდა ხალხური მარგალიტების სურნელების სიმძაფრე? ამასაც ეშველება. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დროდადრო გამოვაქვეყნებთ ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

დღეს გთავაზობთ ჩვენი ზეპირსიტყვიერების შედევრს — „ლექსს ვეფხვისა და მოყმისას“.



„ვეფხვი და მოყმე“. ეს ჰედიურობა (ზომა 90×40) ცნობილმა ქართველმა მხატვარმა-მოქანდაკემ კობა გურულმა სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის შეასრულა და საჩუქრად უძღვნა რედაქციას.

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

ხალხური მარგალიტები

მოყმემ თქვა, პირშიშველამა,
შიბნ გავიარე კლდისანი,
მოვინადირენ, დავლახენ
ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
შავვარდი ვეფხვის ნაწოლსა,
დრონ იყვნენ შუაღმისანი,
ვეფხვი რო წამომიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.
შაიბნენ ვეფხვი მოყმეი,
მაშინ დაიძრეს მიწანი,
კლდეები ჩამაანგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი,
ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა,
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადაეკიდა,
ჩამოაწითნა ქვიშანი.
თავად კლდის თავზე შემოწვა
მოყმე სულ ამომდინარი,
ქვიშას მიჰღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.
უერთოდ კი რა იხარჯნეს
ჩვენ მონადირნის ისარნი.
იარებოდა დედაი
ტირილით თვალცრემლიანი,
„ჩემ შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემ შვილს — ხმლით, იმას — ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავთ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანი“.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
„შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დაცალია,
ვეღარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ვეღარცა ვეფხვმა ტოტებით,
ხმალმა დაკუნა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია,
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია.
ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია“.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა,
აი ამ სიზმრებს ხედავდეს,
გამაეღვიძოს მტირალსა.
ხან იფიქრებდა „უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“.

...არ გაიცვლების სხვაზედა

ერთნი ამბობენ, ბავშვურ ოცნებას ახყვაო, მეორენი ყველაფერს ბრმა შემთხვევას აბრალებენ. არიან ისეთებიც, გულხწყრომას რომ ვერ მალავენ და მის საქციელს სერიოზულ დანაშაულად მიიჩნევენ...

რომელია მართალი, რომელი ვირწმუნოთ?

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ახლა ძნელია ამაზე მსჯელობა, სწორი დასკვნის გამოტანა. ჩვენი წერილისათვის შეიძლება ამას არსებითი მნიშვნელობაც არ ჰქონდეს. ამიტომ შევეცდები მხოლოდ იმ კაცის ბიოგრაფიის ნაწილი გაგაცნოთ, რომელმაც ოცდაორი წლის წინათ დატოვა სამშობლო და ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს (თუ მის ცხოვრებას საერთოდ შეიძლება ცხოვრება ეწოდოს).

ულამაზესი მთებით გარშემორტყმულ სოფელ დარჩიძეებს, ანკარა მდინარე რომ ჩამოუდის, სახნავიც სამყოფი აქვს და საძოვრებიც, საშუალო სკოლაც აქვს და კულტურის სახლიც, აფთიაქიც და ბიბლიოთეკაც. თუ ადრე ქვეყნიერებას საცალფეხო გზით უკავშირდებოდნენ, ახლა ავტობუსით მგზავრობენ აქაურები. ოჯახს იშვიათად ნახავ, ტელეფონი არ ედგას. ელექტრონათურები სახლებსაც უნათებს და შარაგზასაც. ცხოვრობენ, შრომობენ უშფოთველად და წყნარად. ერთი აქვთ მხოლოდ სადარდებელი: ამ ოცდაორი წლის წინათ სოფელში მეტად უჩვეულო ამბავი მოხდა — უგზო-უკვლოდ დაიკარგა 14 წლის რესულ აბაშიძე. ბევრი ეძებეს, ტყეც მოჩხრიკეს და ქალაქადაც აფრინეს კაცები, მაგრამ ამაოდ — მის გზაკვალს ვერსად მიაგნეს.

გავიდა წლები, სოფელმა მიივიწყა თითქოს ეს შემთხვევა. მშობლებმაც გამოიგლოვეს ასე უცნაურად დაკარგული შვილი, რომ ვიღაცამ ამბავი მოიტანა: რესული ცოცხალია, საზღვარზე გადასულა და ახლა უცხო ქვეყანაში ცხოვრობსო.

ამ ცნობამ კიდევ ერთხელ შეაშფოთა სოფელი. სწორედ მაშინ იყო, შითქმა-მოთქმა და ათასი აზრი რომ შეიქმნა. ერთში შეთანხმდნენ მხოლოდ: რესულმა დაარღვია საზღვრისპირა სოფლის წესი, გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა. ასეთ მოქმედებას აქაური მკვიდრნი არავის აპატიებენ, მით უმეტეს შინაურს. გლოვის ღირსიც არ გახადეს, დარდად აქციეს, უთქმელ დარდად და აგერ რამდენი წელიწადია თან დააქვთ...

...მას კი ეგონა, უცხო მხარეში ბედნიერებას ეწეოდა. მწარედ მოტყუდა. როზგი არგუნეს. პირუტყვივით სცემეს და შემდეგ ქუჩაში გაისროლეს, მაწანწალის ნიშნით დადალეს, ხან ვის ედგა მოჯამაგირედ, ხან ვის.

გადიოდა წლები. იფიქრა, იქნებ ამერიკაში მეშვენლოს რამეო და თხუთმეტი წლის დანაზოგით ერთი ბილეთი იყიდა...

ორიოდე წლის წინათ დურსუნ აბაშიძეს ამერიკიდან წერილი მოუვიდა, რომელსაც ხელს აწერდა ნიუ-იორკში მცხოვრები მისი შვილი რესულ აბაშიძე. „...მამა, მე თუ მიკითხავთ, ძალინ ცუდად ვცხოვრობ, მე აქ ცხოვრება არ შემიძლია, ძალიან ძნელი, აუტანელი მდგომარეობა მაქვს. აქაური ხალხიც კი მწამლავს...“

პირველ წერილს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. სიბეჩავემ სამშობლო გაახსენა და ახლა პატიებასა და შველას ითხოვს, როგორც თვითონ ამბობს, „უპატრონო და გაპარტახებული, უსამშობლო და ხმაჩამორთმეული“.

„...თუ სამშობლოში დაუყოვნებლივ ვერ დავბრუნდები, ალბათ დავიღუპები“, წერს იგი ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში.

რაც მოგივა დავითაო... სწორედ მასზეა გამოჭრილი. თუმცა წაქცეულის ცემას სამშობლო ჩვეული არ არის. კეთილი დედის მსგავსად, ბევრის პატიება შეუძლია. მაგრამ რატომ, რისთვის უნდა მივიყვანოთ აქამდე საქმე? განა მისი ტოლები, მასთან ერთად რომ უსხდნენ მერხებს, არ ოცნებობდნენ შორეული ქვეყნების ნახვასა თუ საკუთარ ბედნიერებაზე? ოცნებობდნენ, მაგრამ ამ ოცნების განსახორციელებლად სულ სხვა გზა აირჩიეს. პატიოსანი შრომით ბევრსაც მიაღწიეს. აი მისი თანატოლი და კარის მეზობელი ალექსანდრე სურმანიძე დღეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ოთარ ბოლქვაძე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, აკაკი ხუნდაძე ამავე სოფლის კულტურის სახლის დირექტორი... კაცი არ დარჩენილა, ცხოვრებაში თავისი გზა არ ეპოვოს. მარტო რესულია გარიყული, სამშობლოსა და ოჯახს მოწყვეტილი, დადის ნიუ-იორკის ქუჩებში მშიერ-მწყურვალი, დავრდომილი და დროდადრო თანასოფლელებს წერილებით ახსენებს თავს, რომლებშიც ერთი და იგივე სიტყვები მეორდება: თუ სამშობლოში ვერ დავბრუნდი, დავიღუპები...

მერაბ კომახიძე

ხალხური მარგალიტები

ჩანახატი

იცოცხლე, მინდიავ!

ჯაზმა მიიძინა. ჭადარს ფოთლები დასცვივდა. ნიავმა მთიდან ცივი სიო ჩამოიტანა.

ფოთლების ხალიჩაზე ფეხაკრეფით მიაბიჯებს 97 წლის ბერიკაცი. ყვავილები თავს უხრიან თავიანთ გულთამხილველს და ჩურჩულებენ:

— ნახვამდის, მინდია, ვიძინებთ...

— ახლა კი დაისვენებს მოხუცი, — ფიქრობს მზე და ბაღს სხივებს ალმაცერად სტყორცნის.

მოხუცის სხეული ძველებურად ვეღარ თბება. მაინც არ ისვენებს, ყოველდღე შრომობს, ფუსფუსებს, საქმე გამოულევნელი აქვს. ის კი არა, ღამე რომ გრძელია. ისიც ვეღარ აუტანია, ალიონზე დგება, ღუმელს თვითონ ახურებს.

საყვედურობენ: — მამი, სადღა შეგიძლია ამდენი, დაისვენე!

— არა, შვილო, ცოცხალ ადამიანს რა დაასვენებს, გავიდეთ, პელო, ბაღში, ყვავილები არ დამიზროს სიცივემ, გუშინ თრთვილი შევნიშნე...

— გაფრთხილება უნდათ, — ამბობს მოხუცი და მთვლემარე ყვავილები ფაქიზად გადააქნევს სათბურში.

კუნძზე ჩამოჯდა, მზეს ზურგი მიუფიცხა.

— სადღა ვარ, სადღა?! რა მალე ვიღლები. ახლა რა გავაკეთე ისეთი, ორიოდე ყვავილი გადავირჩინე და დავიღალე... მზეც რომ ვეღარ მათბობს! დამზრალი ყვავილივითა ვარ...

...აგერ იქ, იმ ნუშის ქვეშ უყვარდათ გალაკტიონს, სიმონ ჩიქოვანს, იოსებ გრიშაშვილს, გოგლა ლეონიძეს ბაასი. ახლა კი ამ ყვავილებივით მიეძინათ მთაწმინდის მიწაზე. ეჰ... რა არის წუთისოფელი?! — წაიდუდუნა და სახე დაიღარა, ფიქრმა და წუხილმა ჩრდილივით გადაურბინა.

ხომ არ შეეშინდა?

?!...

— გალაკტიონი მარგალიტების მთასველ წიგნად აიკინძა. გრიშაშვილი, ჩიქოვანი, გოგლა. მე? მე რა გავაკეთე?

— რად ამბობ მაგას, მინდიავ! შენ ყვავილების ლექსი დაწერე, ლამაზი და განუმეორებელი ლექსები.

... ტკბილო ადამიანო, შენ მოგვეცი ეს სინარნარე და სიმშვენიერე. ჩვენი შემხედვარე არ იყო ის უცხოელი, აღტაცებული თვალს რომ ვერ გვაშორებდა? — ჩურჩულებდა წითლად აფერადებული ვარდის კოკორი.

— რამდენჯერაც უნდა მოვიდე აქ, კიდევ და კიდევ მინდა ვიხილო ადამიანის გონების, შრომისა და სილამაზის ეს უდიდესი ძეგლი — მიხეილ მამულაშვილის ბაღი. ვარდები, ვაზები, წწვანე ხეიარა მცენარეები, ქვისა და ქოთნის ნამტვრევებზეც რომ უდიდეს სილამაზეს ქმნიან და ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრიან ადამიანს, — ეს უკვე შთამეჭდილებათა წიგნი ალაპარაკდა.

— ჯერ ნუ დაიძინებ, კეთილო კაცო, — თავს ხრიდა ნაზი მიხაკი.

— შენ შემაყვარე სიცოცხლე და ჩემი მოძმე, ამიტომ, აჰა, ჩემი სიცოცხლე შენთვის დამითმია, — ტიკტიკებდა თეთრი ქრიზანთემა.

— შენს წინ, შენს ფეხთა ქვეშ ვართ დაფენილები. ჩვენი დანაკლისი დღე შენ შეგმატდეს! — შრიალებდნენ გაყვითლებული ფოთლები.

— მამი, არ გაცივდე! — გადმოსძახა აივნიდან ქალიშვილმა.

მოხუცი მეზობელ არ განძრეულა. პელომ აღარ გაუმეორა, შეატყო: მამას ფიქრები მორეოდა.

...მართლაც, უსაქმოდ ხომ არ მიცხოვრია! ქვეყანა მოდის და თავს ევლება ამ ბაღს, მისი სომშვენიერით ტკბება. სიკვდილისა არ მეშინია, მაგრამ არც ჩემი ცქერების, შვილებივით რომ დამიზრდია, მიტოვება მინდა...

— იცოცხლე, მინდიავ! — გადმოსძახა გაღმა ჭალიდან არაგვმა.

— იცოცხლე, მინდიავ! — წაიდუდუნა მტკვარმა.

— იცოცხლე, მინდიავ! — იმეორებდნენ ბაღის სტუმრები.

...რა საოცარი მუსიკაა.

ყვავილებს თვალი ელულებათ.

ჯერ არ გაუხვევია ზამთარს ბაღი თავის სამოსელში. ყვავილფერი გარინდებულა და ტკბილი ზღაპრის მოლოდინში გაყუჩებულა.

...შემდეგ კი ჯვლავ გაზაფხული, მწვანედ აფეთქებული, ოსტატის ჯადოსნური ყალმით მოხატული ჯარმიდამო.

ასე გრძელდება სიცოცხლე, სიცოცხლე, რომელსაც მცხეთელი მინდია ჰქვია!

ნაზი შამანაური

„მნათობის“ 100 წელი

„მნათობს“ 100 წელი შეუსრულდა. მართალია, წარსულში მრავალი მხატვრულ-პუბლიცისტური ჟურნალი გვქონდა, მაგრამ ასეთი რეზონანსი და ხანგრძლიობა არც ერთ მათგანს არ ღირსებია. საუკუნის წინათ ჩვენმა სახელოვანმა მამულიშვილებმა ნიკოლოზ ბარათაშვილის რედაქტორობით აციმციმეს ლიტერატურის ეს ლამპარი. ჟურნალს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ცნობილი სტრიქონები: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ და „არც კაცი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს“. ამ საპროგრამო ეპიგრაფის განხორციელებას გულმხურვალედ შეუდგნენ ჟურნალის ირგვლივ შეკრებილი რევოლუციურ-დემოკრატი მოღვაწეები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე, გიორგი ქალადიდელი და სხვები. მათ სწამდათ, რომ „მნათობი“ ახალი ცხოვრების წინამორბედი იქნებოდა, რომ იგი შეძლებდა საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანას. აწ ფერდაკარგულ მის ფურცლებში, როგორც სარკეში, ასახულია იმდროინდელი ცხოვრება მთელი მისი სიავკარგით.

ჟურნალი თავის ფურცლებზე მტკიცედ იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს, აშუქებდა მართლწერის საკითხებს. ჟურნალის მესვეურებს სწამდათ, რომ დედაენის შენარჩუნება ქართველი ხალხის ერთიანობისა და მისი კულტურის დაცვის საწინდარს წარმოადგენდა. „ენა არის დაუფასებელი საუნჯე ხალხისა, იმაში ვხედავთ, მისგან გამოვიცნობთ ხალხის ჭკუას, გონებას, სოციალურს, პოლიტიკურს და ზნეობითს მდგომარეობას“ — გკითხულობთ ჟურნალის ფურცლებზე.

„მნათობს“ რთულ პირობებში უხდებოდა არსებობა, ამიტომ იყო, რომ მან რამდენჯერმე შეწყვიტა გამოსვლა. 1924 წლიდან კი დღემდე რეგულარულად გამოდის.

100 წლისაა, მაგრამ კვლავ ჭაბუკური გატაცებით ემსახურება ერს. ახლა მეტს აკეთებს, მეტი თავგამოდებით იბრძვის მხატვრული სიტყვის საკეთილდღეოდ. იგი ნამდვილად იყო და არის ქართული ლიტერატურის მნათობი.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია გულითადად მიესალმება იუბილარს და წარმატებებს უსურვებს მას თაობათა აღზრდაში.


ქუთაისის ლაბირინთის საიდუმლოება




პროფესორი

სიმონ ყაუხჩიშვილი

● ეს წერილი რამდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“. ვფიქრობთ, იგი ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს. გთავაზობთ მას ოდნავი შემცირებით.





ქუთაისი დღეს

გონდო მაღლაფერიძის ფოტო.

უოველ ცოცხალ არსებას თავისი დაბადების მოწმობა, ანუ, როგორც იტყვიან, თავისი მეტრიკა აქვს. თუ ეს ასეა, მით უფრო უპრიანი იქნება, ასეთი მოწმობა ჰქონდეს ქალაქს, თანაც ასეთს, რომელიც ათასეული წლების მანძილზე თავისი ქვეყნის დედაქალაქი იყო.

დიახ, ასეთი მეტრიკა ქუთაისსაც მოეპოვება. საჭირო როდია ძალა დავატანოთ ფანტაზიას და ვთხზათ არარსებული თარიღები ქუთაისის დაბადებაზე. აუცილებელია მსჯელობა დავამყაროთ მხოლოდ უტყუარ ფაქტებზე და არა ჩვენს გონებრივ სპეკულაციაზე.

ქუთაისის მეტრიკა ასეთ ცნობებს გვაძლევს:

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბერძენი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი. ჩვენი დარგის მეცნიერებაში მტკიცედ ზის თარიღი: აპოლონიოს როდოსელი დაახლოებით 295-215 წლებში ცხოვრობდა; ამას ადასტურებენ აპოლონიოსის მიერ თავის თხზულებებში გამოყენებული წინაძროინდელი წყაროები, ერთი მხრივ, და მომდევნო ეპოქის მწერლების მიერ აპოლონიოსის თხზულებათა გამოყენება — მეორე მხრივ.

აპოლონიოს როდოსელი იყო პოეტი და მეცნიერი. როგორც მეცნიერს, მას ჰქონია დაწერილი გრამატიკა და ნარკვევები ჰომეროსის პოემების ტექსტის შესახებ, პოეტ არქილოქეზე და სხვა; როგორც პოეტი, ის ცნობილია თავისი მსოფლიო მნიშვნელობის პოემა „არგონავტიკით“, რომელიც ჩვენამდე სრულად არის მოღწეული და რომელშიც მოთხრობილია არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. დაწვრილებით არის აღწერილი ეს ლაშქრობა: მოლაშქრეთა ჩამოსვლა კოლხეთში იასონის მეთაურობით, იასონის შეხვედრა კოლხეთის მეფე აეტთან, შეყვარება მეფის ასულ მედეასი და მისი დახმარებით ოქროს საწმისის გატაცება.

სად შეხვდა იასონი კოლხეთის მეფე აეტს? მეფის რეზიდენციაში, ქალაქ ქუთაისში. ამ ქალაქის სახელი მოხსენებულია აპოლონიოსის პოემაში ექვსჯერ და ყველგან მას ეწოდება „ქუთა-ისი“, ბერძნულად „კჳტაის“:

1. სამჯერ ის ნახმარია კოლხეთის მეფის აეტის სადაურობის აღსანიშნავად, „კჳტაიელი აეტისა“ (I 405; II 1096; III 228);

2. ერთხელ აღნიშნულია, რომ „კჳტაისი“ არის აია-ქვეყნის ქალაქი (III 1267).

3. ერთხელ კიდევ ნათქვამია, რომ არგონავტები გაშმაგებული აეტის რისხვის გამო შეპყრობილი იყვნენ შიშით „კჳტაისის მიწის“ წინაშე.

ამ ცნობებიდან ხომ ნათლად ჩანს, რომ ამ 23 საუკუნის წინათ, ე. ი. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ბერძნები თავისუფლად ერკვეოდნენ იმაში, რომ არსებობდა კოლხეთის ქალაქი „კჳტაისი“; იგი კოლხეთის მეფის აეტის რეზიდენცია ყოფილა მაშინ. როდესაც კოლხეთში ჩამოსულან საბერძნეთიდან არგონავტები ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

რომ ეს ცნობები ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის პოეტის, აპოლონიოს როდოსელის მოგონილი კი არ არის, არამედ მაშინ (III საუკუნეში) საყოველთაოდ ცნობილი ყოფილა საბერძნეთში, იქიდანაც ჩანს, რომ ამავე ქალაქს ამავე სახელწოდებით იხსენიებს პოეტი ლიკოფრონი, რომელმაც იმავე III საუკუნეში (შეიძლება აპოლონიოს როდოსელზე ცოტა უფრო ადრეც) დაწერა პოემა „ალექსანდრა“ (ანუ „კასანდრა“), სადაც ორჯერ იხსენიება ქალაქი „კჳტაია“ (ტაეპი 1312) და „უცხოთმოყვარული კჳტაიელი ასული“ (ტაეპი 174, იგულისხმება მედეა, რომელმაც შეიყვარა ბერძენი იასონი).

ზემომოყვანილი მასალა საკმარისია იმის დასადგენად, რომ ქალაქი ქუთაისი („კჳტაისი“, „კჳტაია“) ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ე. ი. ამ 2.300 წლის წინათ ბერძნულ სამყაროში ცნობილი იყო როგორც კოლხეთის დედაქალაქი.

ეს გახლავთ ქალაქ ქუთაისის მეტრიკის ერთი ნაწილი, მეტრიკული ამოწანწერი სრულიად სანდო და უეჭველი.

მაგრამ ეს ცნობა იმას კი არ გვეუბნება, რომ ქუთაისი მხოლოდ 2.300 წლისაა; ის გვეუბნება მხოლოდ იმას, რომ 2.300 წლის წინათ ბერძნებმა იცოდნენ, რომ გორც უტყუარი ჭეშმარიტება, რომ დიდი ხნის წინათ, როდესაც არგონავტებმა ილაშქრეს კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, კოლხეთის მეფის რეზიდენცია იყო ქუთაისში. მაშასადამე, თუ დავადგენთ, როდის ილაშქრეს არგონავტებმა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, შევძლებთ ქუთაისის მეტრიკა საუკუნეთა სიღრმეში ვეძებოთ. რა საშუალება მოგვეპოვება ამის დასადგენად? ჩემი აზრით, მსჯელობა ასე უნდა წარიმართოს: გვაქვს თუ არა რაიმე წერილობითი წყარო არგონავტების ლაშქრობის დასათარიღებლად, მიახლოებით მაინც?

* * *

ძველი ბერძნული ლიტერატურის უძველესი ძეგლებია ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“. შეიძლება დღესაც არ იყოს გამორკვეული ჰომეროსის პოემებთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მაგრამ ჰომეროსის პოემები რომ ძველი წელთაღრიცხვის X-VIII საუკუნეებში არის მოსათავსებელი, ამაში არავის ეპარება ეჭვი.

ჰომეროსის პოემები უკვე იცნობენ ხომალდს „არგოს“, რომლითაც ილაშქრა იასონმა აეტის ქვეყანაში, იცნობენ აეტის დას ჯადოქარ კირკეს, აიას ქვეყნის დედოფალს;

1. „ყველასათვის სანუკვარმა, აეტისაბან მომავალმა არგომ გასცურა („ოდისეა“, XII, 70).

2. ეს ხომალდი კლდეებს შუა „ჰერამ გაატარა, რადგან იასონი უყვარდა“ („ოდისეა“, XII, 72).

3. „მივადექით კუნძულ აიას, იქ ცხოვრობდა... ძირაკე, მრისხანე აეტის ღვიძლი და“ („ოდისეა“, X, 135, 137).

ამის გარდა, არგონავტების მეთაური იასონს იცნობს „ილიადა“: „ლემნოსიდან ღვინით დატვირთული მრავალი ხომალდი მოადგა ნაპირს; ისინი გამოგზავნა იასონის ძემ ევნეოსმა, რომელიც ხალხთა მწყემს იასონისაგან შვა ჰიფსიპილემ“ (VII, 467-469).

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ ზემოთქმულიდან? როგორც ჩანს, არგონავტების ლაშქრობას და მასთან დაკავშირებულ პერსონაჟებს (აეტი, იასონი, კირკე, „არგო“ და არგონავტები) იცნობენ ჰომეროსის პოემები. რომელთა დაწერას დღევანდელი მეცნიერება X-VIII საუკუნეებში ვარაუდობს.

ამით ვიღებთ მეორე მონაცემს ქუთაისის ისტორიის შესასწავლად: არგონავტების ლაშქრობა აეტის ქვეყანაში, რომლის დადაქალაქი იყო „ქუთაისი“, ცნობილია ძველი წელთაღრიცხვის X საუკუნის პოეტისათვის. მაშასადამე, უტყუარი წერილობითი ცნობები საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ, რომ ქუთაისი, ყოველ შემთხვევაში, 3.000 წლისაა.

* * *

ჭეიქლება სხვებმა განაგრძონ კიდევ უფრო შორს სიღრმეში სვლა, მოიშველიონ უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი, მაგრამ ჯერ საბოლოოდ გაუშიფრავი სხვადასხვა ხაზოვანი წარწერა და იქ იპოვონ ამ საკითხის გასარკვევად გამოსადეგი მასალა. მაგრამ მე, პირადად, ზემოთმოყვანილზე უფრო სანდო და უთუო მასალა არ მომეპოვება.

კეთილი მეკობრე

ქართული გაზეთი 150 წლისაა

პირველად ლაპარაკი გაზეთის გამოცემის შესახებ საქართველოს სამეფო კარზე მე-18 საუკუნის დამლევს დაიწყო. ამის თაობაზე 1799 წელს გიორგი XII-ეს მისმა ძმამ იოანე ბატონიშვილმა მისწერა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩანაფიქრმა მაშინ ფრთები ვერ შეისხა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმი ქართული პერიოდული ორგანოს შექმნის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა.

1819 წლის 8 მარტს თბილისის სამხედრო კორპუსის სტამბაში დაიბეჭდა პირველი ქართული გაზეთი — „საქართველოს გაზეთი“, რომელიც ძალზე პატარა ფორმატით, ოთხ გვერდზე გამოდიოდა. ზოგჯერ დამატებითი ფურცლებიც ჰქონდა. გაზეთი იწყობოდა საკმაოდ ლამაზი შრიფტით. რა თქმა უნდა, იგი მკაცრ ცენზურას გადიოდა.

„საქართველოს გაზეთს“ ჯერ რუსულ ენაზე აღგენდნენ, ხოლო ცენზურის გავლის შემდეგ თარგმნიდნენ ქართულად, ამიტომ მისი ენა და სტილი ბევრად იყო დამოკიდებული მთარგმნელის ოსტატობაზე.



როგორც ჩანს, 1820 წლიდან გაზეთს კარგი მთარგმნელი ჰყავდა, რადგან ამ დროს გამოსული ნომრები გამოირჩევა დახვეწილი ქართულით. 1820 წლიდან შეიცვალა გაზეთის სახელწოდება — მას „ქართული გაზეთი“ ეწოდა.

პირველი ქართული გაზეთი ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილებისაგან შედგებოდა. ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა მთავრობის ბრძანებები და მითითებანი, არაოფიციალურ ნაწილში კი ინფორმაციები საზღვარგარეთის ქვეყნების ცხოვრებიდან.

ზოგჯერ გაზეთი ახერხებდა ოსტატურად დასხლტომოდა ცენზორს, ისეთი რამ დაებეჭდა, რაც ქართველთა გულს ააღელვებდა. ამ მხრივ საყურადღებოა ინფორმაცია ბერძენი პატრიოტების აჯანყებაზე თურქეთის წინააღმდეგ. გაზეთი აშკარად თანაუგრძნობს ბერძნებს, რითაც მეფის რუსეთის პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას გამოხატავს.

გაზეთში ჭარბობდა განცხადებები. ლიტერატურული მასალების უმრავლესობა უცხოურიდან ითარგმნებოდა.

სამწუხაროდ, პირველ ქართულ გაზეთს დიდი ღღე არ ეწერა, ხელმომწერლები თანდათან შემოეფანტნენ და 1821 წლის დამლევს არსებობა შეწყვიტა.

150 წლის წინათ დაარსებულმა „საქართველოს გაზეთმა“, მართალია, ვერ შეძლო სრულად აესახა იმდროინდელი სინამდვილე, მაგრამ ერისათვის მაინც ბევრი გააკეთა. როგორც თვითონ აღნიშნავდა გაზეთი, ხელმძღვანელობდა „არა ვერცხლის სიყვარულით“, არამედ ისწრაფვოდა ხარგებლობა მოეტანა თავისი ხალხისათვის.

„საქართველოს გაზეთმა“ ეს პროგრამა განახორციელა, იგი ქართული პრესის კეთილი მეკვლე გამოდგა, დღეს საქართველოში 100-ზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების გაზეთი გამოდის, რომელთა საერთო ტირაჟი 6 მილიონს აღემატება.

გურამ გორდულაძე

ქრონიკა

გრიგოლ ფერაძის პანაშვიდი

ქვირას, 16 ნოემბერს, ნიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ გადაიხადა პანაშვიდი არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდის შემდეგ კათალიკოსმა დამსწრეთ გააცნო გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, გაიხსენა მასთან ერთად სწავლის წლები სასულიერო სემინარიაში.

ეს პანაშვიდი იყო გახსენება ადამიანისა, რომელიც სხვების სულის-საზიარებლად ზრუნავდა და თვითონ კი უზიარებელი, დაუმარხავი დარჩა; როგორც ჩვენი გაზეთის მე-6 ნომერში ვიუწყებოდით, იგი 1940 წელს გესტაპოს ჯურღმულებში დაიღუპა.

ძეგლთა მეგობარი

ანტიკური უფლისციხე და შუა საუკუნეების ვარძია, მრავალჯერნახული მცხეთა და ციხე-გოჯი, ნეკრესი და ბიჭვინთა, ალავერდი და გელათი, საქართველოს მთისა და ბარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ხისა თუ ქვის ხუროთმოძღვრება, ფერწერა და ქანდაკება, ჭედური ხელოვნება და საგალობლები, — აი ის არასრული თემატიკა, რომლის გამოვლინებას, მეცნიერულ შესწავლასა და პროპაგანდას ისახავს მიზნად საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ორგანო „ძეგლის მეგობარი“.

„ძეგლის მეგობარი“ თავისი არსებობის მეხუთე წელიწადს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მან ავტორთა ფართო აქტივი შემოიკრიბა და მკითხველთა სიყვარული დაიმსახურა.

კრებულის მთავარი რედაქტორია ოთარ თაქთაქიშვილი, მორიგი რედაქტორები კი ჩვენი მეცნიერებისა და ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენლები — გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ კეცხოველი, გიორგი ჩიტაია, ლევან გოთუა, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ვახტანგ ცინცაძე და ლევან მატარაძე. პასუხისმგებელი მდივანია ზაირა სტურუა.

ყურნალში მუდმივად თანამშრომლობენ ცნობილი ისტორიკოსები, მხატვრები, რესტავრატორები.

ძნელია ჩამოთვალო ყველა საინტერესო წერილი, რომელიც ყურნალს არსებობის მანძილზე გამოუქვეყნებია. ბევრი სტატია საფუძვლად დაედო ამა თუ იმ ძეგლის მეცნიერულ შესწავლასა და რესტავრირებას.


კრებული დიდ ადგილს უთმობს საქართველოს გამოქვაბულებს, მასალებს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, მთიანეთში შენახულ არქიტექტურულ ძეგლებს, კულტურის ძეგლთა დაცვის საკითხებს, კედლის მხატვრობას, ჭედურობას, საგალობლებს, ხელნაწერებს, ეთნოგრაფიასა და მრავალ სხვა საკითხს.

„ძეგლის მეგობარი“, რომლის მეოცე ნომერს მალე მიიღებს მკითხველი, ჩვენი მეცნიერების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ხელშეწყობითა და ზრუნვით ამართლებს თავის დანიშნულებას, კეთილად უძღვება დიდ ეროვნულ საქმეს.

ირაკლი ზაქარიაშვილი,
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სწავლული მდივანი.

ქრონიკა

გვახსოვდეს ჩვენი წარსული



ბაგრატის ტაძარი. XI საუკუნის დამდეგი.

გონდო მაღლაფერიძის ფოტო

პეტრე ბაგრატიონი

დაბადების 150 წლისთავის გამო



◆

1724 წელს ვახტანგ მეექვსე იძულებული გახდა საქართველოს საზღვრებს გასცლოდა. მის მაგივრად ქართლის ტახტზე ავიდა მისი ძმა იესე, რომელმაც სამ წელიწადს იმეფა და 1727 წელს გარდაიცვალა. იესეს შთამომავლებმა ერთხანს იბრძოლეს ტახტისათვის, მაგრამ დამარცხდნენ და ისინიც ვახტანგის კვალს გაჰყვნენ ასტრახანისაკენ.

1757 წელს იესე მეფის ძე ალექსანდრე ბატონიშვილი ყიზლარს დასახლდა. მას აქ ეყოლა სამი შვილი: იოანე, სოლომონი და ანა. ალექსანდრეს უფროსი ვაჟი იოანე 1749-1763 წლებში ფსკოვის კარაბინერთა პოლკში მსახურობდა. იმხანად ეს პოლკი პოლტავაში იყო განლაგებული. აქ მას შეეძინა ორი ვაჟი: პეტრე (1765-1812 წლები), შემდეგში სახელოვანი სარდალი, ბოროდინოს გმირი და რევაზი (1778-1834 წლები) რუსეთში რომანად გადანათლული. რომან ბაგრატიონი 1812-1814 წლების სამამულო ომის გმირული ბრძოლების აქტიური მონაწილეა, იგი ერთ-ერთი პირველი შევიდა პარიზში. ომის დამთავრების შემდეგ რომან ბაგრატიონი დაქორწინდა რუსეთის მეფის ეზოს მრჩევლის სვიმონ ივანოვის ქალიშვილ ანაზე, რომელთანაც ეყოლა სამი შვილი: პეტრე, ანა და იოანე.

ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ რომანის უფროსი ვაჟიშვილი პეტრე, რომელიც დაიბადა 1818 წლის 22 სექტემბერს ძველი სტილით.

1827 წელს რომან ბაგრატიონი დაინიშნა ქართული ლაშქრის მეთაურად, ერთი წლის შემდეგ კი — თბილისის მაზრის გუბერნატორის თანაშემწედ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 9 წლის პეტრე მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. იგი იმ კლასში ჩაურიცხავთ, რომელშიც ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილი სწავლობდა. მომავალი მგოსანი და მეცნიერი ახლო მეგობრულ ურთიერთობაში ყოფილან.

1833 წლიდან პეტრე პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელშია.

21 წლის ჭაბუკმა მუშაობა დაიწყო ფიზიკასა და ქიმიაში. თავისი შრომების ექსპერიმენტულ ნაწილს იგი ასრულებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიებში, რომელსაც აკადემიკოსი იაკობი განაგებდა.

1843 წლის ნოემბერში მას აჭილდოებენ სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით „გალვანურ მეცადინეობაში წარმატებისათვის“. ოთხი თვის შემდეგ პეტრე ბაგრატიონმა გალვანური ელექტროდენების საშუალებით ყინულისაგან გაათავისუფლა კრონშტადტის ნავსადგური. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის, რაც წმინდა მეცნიერული გზით იქნა გადაწყვეტილი, იგი დააჯილდოეს.

1844 წელს პეტრე ბაგრატიონი 6 თვით მიავლინეს გერმანიაში, საფრანგეთსა და ინგლისში ინუენერ-გენერალ ვიტოვტოვის ხელმძღვანელობით გალვანური დენების საინჟინრო საქმეში გამოყენების მეთოდთა შესასწავლად. შემდეგ იგი დაინიშნა ნიკოლოზ I-ის სიძის. ჰერცოგ მაქსიმილიან ლიხტენბერგის ადიუტანტად და მასთან ერთად ევროპაში 7 წელი დაჰყო. ბაგრატიონის გავლენითა და რჩევით 1847 წელს ლაიხტენბერგი გალვანური წესით მოოქრვისა და მოვერცხლის ფართოდ გამოყენების მიზნით პეტერბურგში აარსებს გალვანოპლასტიკურ ქარხანას.

1862 წლიდან პეტრე ბაგრატიონი ტვერის გუბერნატორია. თავდაჭერილობის, ჰუმანურობისა და ეშიათი ტაქტის მეოხებით იგი მოსახლეობის ყველა ფენამ შეიყვარა.

1865 წელს მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა.

1870-1876 წლებში პეტრე ბაგრატიონი ბალტისპირა ქვეყნების გენერალ-გუბერნატორია.

გარდაიცვალა პეტერბურგში 1876 წელს.

პირველი მეცნიერული შრომა პეტრე ბაგრატიონმა 1843 წელს გამოაქვეყნა. ეს შრომა მის მიერ შექმნილ გალვანურ ელემენტს შეეხებოდა. ეს იყო პირველი მშრალი ელემენტი მსოფლიოში. მას უაღრესად დიდი გამოყენება აქვს თანამედროვე მეცნიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც ირკვევა, ეს ელემენტი იმ დროს სწრაფად გავრცელდა და ხმარებაში შევიდა როგორც რუსეთში, ისე ევროპასა და ამერიკაში.

ბაგრატიონის ეს ელემენტი XIX საუკუნის მეორე ნახევარში რომ მართლაც იხმარებოდა ევროპასა და ამერიკაში, ნათლად ჩანს ინგლისელი ფიზიკოსის მორტიმერ კოდის წიგნში „გალვანური ელემენტები“. ევროპასა და ამერიკაში ხმარებულ ელემენტთა შორის ავტორი იხსენიებს ბაგრატიონის ელემენტს და ეს ბუნებრივიც არის: 1844 და 1845 წლებში ბაგრატიონის ზემოხსენებული შრომა დაიბეჭდა ლონდონში, პარიზსა და უენევაში.

მეორე შრომაში, რომელიც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენშია მოთავსებული, ბაგრატიონი შეისწავლის გალვანურ ელემენტებში და გალვანოპლასტიკის დროს წარმოებულ სხვადასხვა პროცესებს და განსაკუთრებით ჩერდება მოვლენაზე, რომელიც მან „თავისი გალვანური ცდების მსვლელობაში შენიშნა“.

ერთი წლის შემდეგ ბაგრატიონის ეს შრომაც დაიბეჭდა საზღვარგარეთ.

ოქროს თანამედროვე მეტალურგია ფართოდ იყენებს მადნიდან ოქროს მიღების ციანურ პროცესს.

სამწუხაროდ, მოხდა ისტორიული უკუღმართობა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მოკალათებულმა ბედის მაძიებელმა მეცნიერებმა მსწრაფლ შეიგნეს პეტრე ბაგრატიონის შრომების ღირებულება და უკვე 1845 წლიდან ევროპასა და ამერიკაში კეთილშობილი ლითონების დამუშავება პეტრე ბაგრატიონის მეთოდით წარმოებდა (და ამუამადაც წარმოებს). გავიდა ხანი და ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1894 წლის ნოემბერში, ბაგრატიონის ცნობილი მეთოდი ოქროს მიღების შესახებ რუსეთში დაბრუნდა უკვე მაკარტურისა და ძმების ფორესტების სახელწოდებით.

ზუსტი მეცნიერებისა და ტექნიკის ჭეშმარიტი ისტორია ღალდებს, რომ დიდი ხნით ადრე მაკარტურამდე და ძმებ ფორესტებამდე ქართველმა მეცნიერმა შექმნა ამომწურავი შრომები ოქროს დამუშავების ციანური მეთოდის შესახებ.

რაც შეეხება ამერიკელ მაკარტურსა და ძმებ ფორესტებს, მათ ეკუთვნით პირველობა არა მეთოდის შექმნაში. არამედ ამ მეთოდების დანერგვაში.

პეტერბურგში პეტრე ბაგრატიონი დაუახლოვდა განთქმულ მინერალოგს, ნიკოლოზ კოკშაროვს. თავისი პირველი გამოკვლევა კოკშაროვმა იმ კრისტალის შესახებ დაწერა, რომელიც ბაგრატიონმა ურალზე ახმატის მაღაროების გეოლოგიური გათხრების დროს იპოვა. იმ დროისათვის ბაგრატიონის მიერ ნაპოვნი კრისტალი მსოფლიო მინერალოგთათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ეს კრისტალი ორტიტის ახალ სახეობას წარმოადგენდა. კოკშაროვმა მას მისი აღმომჩენის სახელის უკვდავსაყოფად „ბაგრატიონიტი“ უწოდა.

პეტრე ბაგრატიონის მთელი ცხოვრება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველი და ერთმორწმუნე რუსი ხალხის მოწინავე ადამიანთა მეგობრობა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში იკვანძებოდა.

პროფესორი
ვახტანგ პარაკაძე

რაზე წერდნენ ქართული გაზეთები წინათ

● წინანდელი სტატიებიდან შევიტყეთ, რომ მზე და ჩვენი დედამიწა ვაშლივით მრგვალები არიან და მოძრაობენ. ეხლა უნდა ვთქვათ, რომ მთვარეც მრგვალია. სიდიდით კი მთვარე ორმოცდაათჯერ ნაკლებია ვიდრე ჩვენი მიწა...

მიწიდან მთვარემდე სწავლულების გამოანგარიშებით, სამას ორმოცდა ათი ათასი ვერსია, ასე რომ მიწასა და მთვარის შუა რომ რკინის გზის გაკეთება შეიძლებოდეს, იქ მისვლას თითქმის წელიწადსა და ნახევარს მოუნდებოდა კაცი (სათში რომ რკინის გზამ ოცდა რვა ვერსი გაიაროს).

ვინც მთვარეს დაკვირვებია, შენიშნავდა იმაზე სხვა და სხვა ნაირ ლაქებს, დურბინდით (ტელესკოპით) რომ შეხედოთ მთვარეს იმ ლაქებს მიხვდებით, რომ ეს ლაქები მთვარის მთები და ბარია.

სწავლულებმა ჯერ ბეჯითად არ იციან არის მთვარეს გარშემო ჰაერი თუ არა. თუ სწავლულებმა მიაგნიეს იქამდე, რომ შეიტყეს ჰაერის ყოფნა მთვარის გარშემო, მაშინ, უეჭველია ,იქ ცხოველებიც იქნებიან, მაგრამ იმ ცხოველებსა და დედამიწის ცხოველებს შუა დიდი განსხვავება იქნება, რადგან მთვარეზე და მიწაზე სულ სხვა და სხვა ბუნებაა.

1869 წლის ნოემბერი,
„სასოფლო გაზეთი“

ქართული კალენდარი

დეკემბერი

კალენდარი ფოთლებშემოძარცულ ხეს დაემსგავსა, დგება წელიწადის უკანასკნელი თვე.

დეკემბერი სათვალავით არის ბოლო ადგილზე, თორემ ზეიმითა და ღირსშესანიშნავი თარიღებით არც ერთ თვეს არ ჩამოუვარდება. ჩვენს მკითხველებს მთავართა შორის მხოლოდ მთავარს შევახსენებთ.

● 5 დეკემბერი კონსტიტუციის დღეა. საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის ძირითადი და უმაღლესი კანონია, ეს არის დიადი წიგნი, რომელიც ნათლად გამოხატავს საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს შრომაში, ბრძოლაში, ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობაში, — აი რატომ გვწამს ეს დღე.

● 21 დეკემბერს იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადების 90 წელი სრულდება.

● 27 დეკემბერს 70 წელი უსრულდება გიორგი ლეონიძს. სამწუხაროდ, სახელოვანი პოეტი იუბილეზე მოსულთ თავისი ბუბუნა ხმით ვეღარ გადაუხდის მადლობას, მაგრამ სამადლობელს იტყვიან მისი ლექსები, რომლებიც საუკუნეებში გაჰყვება ქართველ ხალხს. ამავე დღეს სრულდება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადების 70 წლისთავი (გარდაიცვალა 1965 წელს).

● 115 წლის წინათ 4 დეკემბერს დაიბადა გამოჩენილი ქართველი მსახიობი ვასო აბაშიძე.

● 29 დეკემბერს 85 წელი შეუსრულდება ივანე ბერიტაშვილს — დიდ მეცნიერ-ფიზიოლოგს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსს.


ვუსურვოთ მას ნაყოფიერი და ხანგრძლივი სიცოცხლე.

და, ბოლოს, 31 დეკემბერი — წელიწადის უკანასკნელი დღე, ახალი წლის წინაღამე. ყველაზე ტკბილი და დასახსომებელი, გაცილებისა და შეხვედრის მიჯნა.

ქართული კალენდარი

მემანქანე პენსიაზე

გიგლა ფირცხალაიას ნახატი-ხუმრობა



ქართული სამზარეულო

ქოთნის ლობიო

ბარჩეული, გარეცხილი 500 გრამი ხმელი ლობიო ჩაყარეთ ქოთანში, დაასხით იმდენი წყალი, რომ დაფაროს და დადგით მოსახარშად. თუ ჩაიშრობს, ადუღებული წყალი დაუმატეთ. დუღილისას შეურიეთ 2 კბილი დანაყილი ნიორი და 2 თავი დაჭრილი ხახვი. როცა ლობიო მოიხარშება, ჩაყარეთ დაჭრილი მწვანილი — 3 ძირი ჭინძი, 3-4 ღერი ხმრახუში, ამდენივე ჭონდარი (Satureja hortensis), 2 ღერი პიტნა (Mentha piperita), 3 ღერი ნიახური. დაუმატეთ დანაყილი წიწაკა და მარილი გემოვნებით, შეგიძლიათ დაუმატოთ წვრილად დაჭრილი პრასაც. 5 წუთის დუღილის შემდეგ კარგად ამოლესეთ (ამოზილეთ) და ხარშეთ კიდევ 2-3 წუთს.

თუ გსურთ ლობიოს სიმჟავე ჰქონდეს, ხარშვისას დაუმატეთ ტყლაპი, ტყემლის საწებელი ან ღვინის ძმარი გემოვნებით.

ამავე წესით მომზადებულ ლობიოს შეიძლება ხარშვისას ორი-სამი სუფრის კოვზი დანაყილი ნიგოზი შეურიოთ. მაშინ ივი სულ სხვა გემოს მიიღებს.

ჩანახი

ცხვრის მსუქანი ხორცი (500 გრამი) გარეცხეთ, დაანაწილეთ საულუფე ნაჭრებად და მარილი მოაყარეთ. 500 გრამი კარტოფილი გაფცქვენით, მსხვილ ნაჭრებად დაჭერით, 30 გრამი ცხვრის დუმა გაყავით ექვს ნაწილად და შეურიეთ დანაყილი პილპილი, მარილი და დაჭრილი სხვადასხვა მწვანილი გემოვნებით. 6 ცალი საშუალო სიდიდის კანიანი ჭორფა ბადრიჯანი გარეცხეთ, შემდეგ თითოეული შუა ადგილას ჩაჭერით 5-6 სანტიმეტრის სიგრძეზე, ჩაყარეთ შიგ მარილი, ამოავსეთ წინასწარ შეზავებული დუმის თითო ნაჭრით. ჭოთანში ან მომინანქრებულ თუჯის ქვაბში ჩააწყვეთ ფენებად გამზადებული ხორცი, კარტოფილი, ბადრიჯანი, 5-6 თავი ხახვი (მრგვალად), მთელ-მთელი პამიდორი (500 გრამი), მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ჭინძი, წიწაკა და მარილი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა წყალი და შედგით ანთებულ ღუმელში (არ მოურაოთ). სუფრაზე მიიტანთ იმავე ჭურჭლით, რომელშიც დამზადდა.

ჩანახი შეიძლება დამზადდეს პატარა-პატარა ჯამებში თითო კაცის ულუფად.

ფეხბურთის მოედნებზე

● დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვა მოსკოვის „სპარტაკმა“. სპარტაკელებმა 26 თამაშიდან 43 ქულა მოაგროვეს და უახლოეს მეტოქეს კიევის „დინამოს“ 4 ქულით გაუსწრეს. მოსკოველებმა მეტოქის კარში გაიტანეს 40 ბურთი, ხოლო თავისაში თერთმეტი გაუშვეს. გუნდის წარმატებაში სხვებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა მეკარე ანზორ კავაზაშვილმა, რომელსაც სპეციალისტები მიმდინარე სეზონში ქვეყნის საუკეთესო მეკარედ მიიჩნევენ.

მეორე ადგილი წილად ხვდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონს კიევის „დინამოს“, მესამე ადგილზე კი თბილისის დინამოელები არიან.

თბილისელებმა 26 თამაშიდან 35 ქულის მოგროვება შეძლეს. თავისთავად მესამე ადგილი ურიგო როდია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისელთა პოტენციალურ შესაძლებლობებს (თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისელ ფეხბურთელთა უმეტესობა შეყვანილია ჩვენი ქვეყნის პირველ, ახალგაზრდულ თუ ოლიმპიურ ნაკრებში), მათ თავისუფლად შეეძლოთ ბრძოლა ოქროს მედლებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდი ქუთაისის „ტორპედო“ თოთხმეტი ქულით მეთოთხმეტე ადგილზეა.

თბილისის დინამოელები 29 ნოემბერს მიემგზავრებიან უცხოეთის ქვეყნებში ანალოგიური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად. ქართველი ფეხბურთელები ეწვევიან არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და იტალიას.

● ფეხბურთის მოყვარულები წლეულს კმაყოფილნი არიან გორის „დილას“ თამაშით. „ბ“ კლასის ამიერკავკასიის ზონაში, სადაც პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 20 გუნდი, გორელებმა ყველას აჯობეს და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი.

დებულების თანახმად, გორის „დილა“ გაისად საკავშირო პირველობაზე „ა“ კლასის II ჯგუფში ითამაშებს.



სურათზე: ქაჯი ასათიანი

მურთაზ ხურცილავა — სპორტის დამსახურებული ოსტატი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს, საერთაშორისო კლასის ოსტატს მურთაზ ხურცილავას მიანიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

გამოთხოვება საჭილაო ხალიჩასთან

ქერჩინსკში დამთავრდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ანზორ ქიბროწაშვილმა ყველა მეტოქე დაჯაბნა და სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა გულთბილად მიულოცა წარმატება სახელოვან სპორტსმენს, რომელმაც დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა.

საჭიდაო ხალიჩიდან ასევე ოვაციებით გააცილეს ანზორ კიკნაძე — მოჭიდავე, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში.

■ თბილისის „დინამო“ — მესამე ადგილზე

■ ქაჯი ასათიანი — სტამბოლის მატჩის გმირი!

ფინ მექსიკაა

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებმა წარმატებით გადალახეს უკანასკნელი ბარიერი და მექსიკის საგზური მოიპოვეს. თურქეთის ნაკრებთან შესვედრაში, რომელიც სტამბოლში 16 ნოემბერს გაიმართა, ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს.

მიმომხილველები უპირატესობას, რა თქმა უნდა, მასპინძლებს აძლევდნენ, რომლებსაც, გარდა თავვამოდებული თამაშისა, „საკუთარი კედლებიც“ ეხმარებოდნენ.

ყველას ეგონა, საბჭოთა გუნდი დაცვითს ვარიანტს აირჩევდა, რადგან მექსიკის საგზურისათვის ფრეც გვაძლევდა ხელს, მაგრამ მოხდა პირიქით. მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდნენ საბჭოთა ფეხბურთელები და ანგარიში 3:1 ნათლად ასახავს მოედანზე ძალთა შეფარდებას.

საბჭოთა კავშირის ნაკრები სათამაშოდ ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შუსტერნიოვი, ხურცილავა, ლოვჩევი, სერებრიანიკოვი, ასათიანი, მუნტიანი, ხმელნიცკი, ბაშოვეცი და ნოდია.

უკვე მესამე წუთზე ასათიანმა შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. 24-ე წუთზე თურქებმა ანგარიში გაათანაბრეს. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ ხმელნიცკიმ წინ გაიყვანა ჩვენი ნაკრები. მეორე ნახევარი ისევ საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით წარიმართა და აი თამაშის მესამოცე წუთზე ასათიანმა მესამე ბურთი მოათავსა მეტოქის კარში.

თურქეთის გაზეთებმა ფართოდ გააშუქეს მატჩი. გაზეთ „მილიეთში“ ცნობილი სპორტული მიმომხილველი ბაჰრუმი წერს: „მასპინძელთა კარში ასათიანის მიერ გატანილმა ბურთმა გააოგნა მეკარე ალი. სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ეს კი ერთობ უჩვეულო რამ არის ჩვენი მაყურებლისათვის. საბჭოთა ნაკრების სულსა და გულს ასათიანი წარმოადგენდა: აი ვის მიუძღვის მთავარი ბრალი ჩვენს დამარცხებაში! ეს უნივერსალური მოთამაშე, რომელსაც ვირტუოზული და დახვეწილი ტექნიკა აქვს, პირდაპირ თრგუნავდა ჩვენს დაცვას“.

გაზეთი „თერჯუმანი“ აღნიშნავს ასათიანის, ხმელნიცკისა და ხურცილავას კარგ თამაშს, აგრეთვე გამოჰყოფს ნოდიას, მუნტიანისა და შუსტერნიოვის თავგამოდებას.

გაზეთებში მოყვანილია აგრეთვე ინგლისის ნაკრების მწვრთნელის რამსეის (რომელიც სპეციალურად ჩაფრინდა მატჩზე დასასწრებად) სიტყვები: „საბჭოთა ფეხბურთელები ფიზიკურად და ტექნიკურად მასპინძლებზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი. მოთამაშეთაგან გამოვყოფდი ასათიანს, როგორც ფილიგრანული ტექნიკის მქონე და დიდი მომავლის ფეხბურთელს!

ჩვენი ქვეყნის პრესამაც ფართოდ გააშუქა სტამბოლის მატჩი. აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანდრეი სტაროსტინის გამონათქვამს: — საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმატებაში წლეულს დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ფეხბურთელებმა. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო მატჩში, რომელიც სტამბოლში გაიმართა, სსრ კავშირის ღირსებას ხუთი ქართველი ფეხბურთელი იცავდა. არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს აღზრდილებმა სეზონი ტრიუმფით დაამთავრეს.

◆

„მცირე“ ცვლილებით

ბელგრადში გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ საჭადრაკო ფესტივალზე. აქამდე მსოფლიოს ჩემპიონი შეჯიბრებებში მწვრთნელებთან ერთად მოგზაურობდა. ახლა „მცირე“ ცვლილება მოხდა — ნონას თან ახლავს მეუღლე — პროფესიით ექიმი ანზორ ჭინჭარაძე.

ნონა გაფრინდაშვილი ითამაშებს ფესტივალის ე. წ. „ოსტატთა ტურნირში“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ქვეყნების ცნობილი ოსტატი ვაუები.

რადიო რადიო

მოუსმინეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50,59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

დაბადებულან, მოგვილოცავთ

აბრამ თერანის ძე კირვალიძეს,

დაბადებულს 1913 წელს წითელი წყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში, ეძებენ ძმა — **სოლომონ კირვალიძე** და ძმისწული — **თამაზ კირვალიძე**, მცხოვრები თბილისში, ლომონოსოვის ქუჩაზე № 9.

ვალერიან ავქსენტის ძე წოწორიას,

დაბადებულს 1920 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **მარიამ წოწორია**, დები — **ეთერ** და **ვენერა წოწორიები**, მცხოვრებნი თბილისში, ძნელაძის ქუჩაზე № 44.

კონსტანტინე ვალაქიას ძე ჩლაიძეს,

დაბადებულს 1905 წელს ონის რაიონის სოფელ ბარში, ეძებს ძმა — **ვალოდია მალაქიას ძე ჩლაიძე**, მცხოვრები ქალაქ თბილისში, შრომის ქუჩაზე № 19.

სიმონ პოკიას ძე კიკნაველიძეს,

დაბადებულს 1909 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ კიკნაველეთში, ეძებს ძმისწული — **თემურ ნიკოლოზის ძე კიკნაველიძე**, მცხოვრები ზესტაფონში, მესხიშვილის ქუჩაზე № 6.

ბაღათარ მაქსიმეს ძე ჭელიძაძეს,

დაბადებულს 1908 წელს ქალაქ მახარაძეში, ეძებს დედა — **სონია შელიქაძე**, მცხოვრები მახარაძის რაიონის სოფელ ექადიაში, ხაჯაპურიძის ქუჩაზე № 15.

ძმებს ვასილ და არჩილ დავითის ძე გუნცაძეებს,

დაბადებულთ 1924 და 1926 წლებში თბილისში. ეძებს დედა — **ელისაბედ მიხეილის ასული სანაკოევა-გუნცაძისა** მცხოვრები თბილისში, ანაგის ქუჩაზე № 5.


რედაქტორი ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

66188 ფასი 4 კაპ.

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!



ცხადდება ხელმოწერა გაზეთ „სამშობლოზე“ 1970 წლისათვის!

ABONNEZ VONS AU JOURNAL „SAMCHOBLO“ POUR 1970!











ABONNIERT DIE ZEITUNG „SAMSCHOBLO“ FÜR DAS JAHR 1970!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER „SAMSHOBLO“ FOR 1970!

ძვირფასო თანამემამულეო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებო!

ცხადდება ხელმოწერა 1970 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (V/a „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და იყიდება საბჭოთა გამოცემები.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შეგახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს, რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აშუქებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგვიწუდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

სად შეიძლება გამოიწეროთ გაზეთი „სამშობლო“

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 — 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

ა შ შ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 — 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
1 Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf 1

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln 1
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 — 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. 1

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Rani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia — URSS
Via Edilio Raggio, 1 — 6
16124 Genova

Associazione
Italia — URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt. 43
Oslo 1

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 — Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 — Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 — 7, rue Lévrier
Genève

ჩილე

Empresa Editora «Austral»
Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel
Leidsestraat 25
Amsterdam